



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 13 ოქტომბერი, 2021 წელი

დრო: 19:00 -20:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
3. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი.
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია.
5. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“.
8. ირინა ფუტყარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

- ქვეყანაში შექმნილი ვითარება
- ჯგუფების მუშაობა
- პოზიციიდ დოკუმენტების მომზადები საკითხი
- შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან
- სექტორული შეხვედრისთვის მომზადება

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა. მან დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

მმართველი კომიტეტის წევრებმა ისაუბრეს ეროვნული პლატფორმის გაძლიერების საჭიროებაზე. განხილული იყო მცირე პროექტების განხორციელების აუცილებლობა, რომელიც პატარა და რეგიონულ ორგანიზაციებს გააძლიერებს. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს სტრატეგიული ხედვა. საჭიროა შეხვედრები ელჩებთან და დონორებთან, რათა მოხდეს მათი ინფორმირება იმ საჭიროებებზე და მექანიზმებზე, რომელიც გააძლიერებს საქართველოს ეროვნულ პლატფორმას და მის საქმიანობას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან სამუშაო ფორმატის შეხვედრის გამართვის საკითხიც. იმსჯელეს იმ საკითხებზე, რომელიც უნდა იქნას განხილული შეხვედრაზე. ჩამოყალიბდა დღის წესრიგის სამუშაო ვერსია, რომელიც შეთანხმდება პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოსთან.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკვე განსაზღვრულია თემატიკა, რომელზეც სამუშაო ჯგუფები მოამზადებენ პოზიციის დოკუმენტებს, საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნომ, ჯგუფის კოორდინატორებს სთხოვა, რომ დაჩქარდეს პოზიციის დოკუმენტების შემუშავების პროცესი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

